კონსტრუქციული დასკვნა

თბილისში, ჩაჩავას №8-ში "მიონის" საწარმოო-ლაბორატორიული კორპუში მეორე სართულზე ანტრესოლის მოწყობის შესახებ

არსებული შენობა 4 სართულიანია, მიწისქვეშა სარდაფით. საძირკვლები წერტილოვანი ასაწყობი რკინაბეტონის. სარდაფის სართულის კოლონები სხვადასხვა განივკვეთისაა 1000X1600 და 1050X1300, მიწისზედა სართულის კოლონები განივკვეთით 40X60-ზე. სართულის სიმაღლე 7.2 მეტრია

გადახურვები შესრულებულია ტეესებრი რიგელებისა და რკინაბეტონის ფიბოვანი ფილების საშუალებით, რ/ბ რიგელებით შენობა შეკრულია მხოლოდ განივი მიმართულებით, ხოლო გრძივი მიმართულებით შუა მალში ბრტყელი რიგელები 1500X400-ზე და განაპირა მალებში 1000X400-ზე.

პროექტით გათვალისწინებულია მეორე სართულის ფრაგმენტზე (5 მალში) ანტრესოლის მოწყობა 10.60 ნიშნულზე. რისთვისაც აუცილებელია არსებული კოლონები მოჩარჩოვდეს ლითონის ელემენტებით და მათზე დამაგრდეს ლითონის ფერმები ან ლითონის კოჭები, რაზეც მოეწყობა ანტრესოლის გადახურვა. ტიხრები მოეწყოს მსუბუქი ბლოკით ან თაბაშირ-მუყაოთი. ასევე გათვალისწინებულ იქნას შენობებს შორის არსებული ჯდომის ნაკერი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩაჩავას №8-ში "მიონის" საწარმოო შენობის მეორე სართულზე ანტრესოლის მოწყობა შესაძლებელია და შესაბამისად შენობის მდგრადობას და საიმედოობას საფრთხე არ ემუქრება.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: ა. კორტავა

29-11-2014